**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი**
**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით მიღებული პროექტი**

დანართი1

| № | გრანტის დასახელება | ხელმძღვანელი | პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები | მოცულობა (თანხა) | სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე | გრანტის კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი. „საგანმანათლებლო პროექტი და ეროვნული იდენტობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში“. | ნატო სონღულაშვილი | 10. 12. 2018- 05. 05. 2021 | 40 900 ლარი | დასრულებული | #YS-18-608 |

აბსტრაქტი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხის შესწავლას სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში და არა ერთი გამოკვლევაა შექმნილი ამ მიმართულებით. თუმცა, ამჯერად გრანტის ფარგლებში შევისწავლეთ განათლება, როგორც: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, 2. ეროვნული იდენტობის და 3. სოციალურ ფენათა დაახლოების საშუალება. აღნიშნული საკითხის ამგვარად შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

პროექტის მიზანს წარმოადგენს: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა საგანმანათლებლო სისტემის აქტუალობა? 2. რა ფუნქცია შეიძინა 1918-1921 წლებში განათლებამ? 3. რა როლი ითამაშა განათლებამ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში და სხვადახვა სოციალური ფენების დაახლოებაში. 4. რა ღონისძიებებს ატარებდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებისთვის? 5. რა გავლენა იქონია განათლების სისტემის განვითარებისათვის ბრძოლაში რუსეთსა და ზოგადად, ევროპაში მიმდინარე ფაქტორებმა? 6. რა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას?